№2458 2014 წლის 25 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ საკონსულტაციო მომსახურების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ, საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლისათვის რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების საკითხებში, საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებთან დაკავშირებით საჭირო საკონსულტაციო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, 2015 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**